

.....

სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი

.....

გაიკვანძო

ბოლო 25 წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური კაპიტალის კონცეფციების ცნობადობა მნიშვნელოვანწილად გაიზარდა ბევრ დისციპლინასა და სექტორში. მართალია, ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ავსებენ (კონცეპტუალიზაციას ახდენენ) სახელმწიფოს და ბაზრებს, ხოლო სოციალური კაპიტალის ღრმა ანალიზის თანახმად, იგი იმ ნორმებსა და კავშირებზე მიუთითებს, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს, კოლექტიურად იმოქმედონ (Woolcock, Narayan 2000). სამოქალაქო საზოგადოება გაცილებით ყოვლისმომცველი ცნებაა და გრძელი ინტელექტუალური ისტორია აქვს (Seligman 1992; Alexander 2006; Edwards 2009), მაგრამ მისი ფუნქციონირება თანამედროვე კვლევისა და პოლიტიკის დებატებში სოციალური კაპიტალის¹ კონცეფციის გავლით ჩნდება. ჩემი აზრით, ორივე იდეის თავდაპირველი გავლენა ნაკლებად ჩანს ახალ ემპირიულ შედეგებში, რომლებსაც ისინი აღწევს, ან მის უნარში, შექმნას არსებითად ბუნდოვანი სამეცნიერო ან პოლიტიკური კონსენსუსი რთული საკითხების ირგვლივ, ვიდრე შესაძლებლობაში, აწარმოოს კონტრუქციული დიალოგი ამ საკითხების შესახებ ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვა ვითარებაში ნაკლებად (ან არ) ურთიერთობენ, და ვისაც აუცილებლად სჭირდება ამგვარი დიალოგი სამომავლოდ მხარდაჭერის გზების მოსაძებნად.

მოცემული თავი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. პირველში წარმოდგენილია სოციალური კაპიტალის მიმოხილვა, მეორეში აღწერილია ყურადსაღები მთავარი თემების მცირე კვლევა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს თემები ეხება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლს კოლექტიური ქმედების წარმართვაში, ეკონომიკურ განვითარებასა და დემოკრატიულ მმართველობაში. მესამე ნაწილი მიმოხილავს ამ კვლევის ზოგიერთ ძირითად სავარაუდო შედეგს პოლიტიკისა და პრაქტიკისთვის, ხოლო მეოთხე დისკუსიის დასკვნას წარმოგიდგენს.

1. სოციალური კაპიტალი: მისი ნაჩოვობისა და მნიშვნელობის მიმოხილვა

ყველაზე მარტივი ფორმით სოციალური კაპიტალის იდეა სახელს არქმევს ინტუიციურ, ტრანსკულტურულ აღიარებას, რომ ჩვენ არსებითად სოციალური არსებები ვართ და ამას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჩვენთვის საჭირობოროტო ძირითადი საკითხების მთელ წყებაზე, მაქსიმის – „ის კი არ ხარ, რაც იცი, ხარ ის, ვისაც იცნობ“, ვარიაციების პოვნა მსოფლიოს ყველა ენაზე შეიძლება². სოციალური კაპიტალი, განსაზღვრული, როგორც ნორმები და ქსელური კავშირები, რომლებიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს კოლექტიურად იმოქმედონ, მიუთითებს საერთო ჩარჩოზე იმ მნიშვნელოვან საკითხებზე სალაპარაკოდ, რომლებიც ეხება დისციპლინარულ, მეთოდოლოგიურ, იდეოლოგიურ და კულტურულ მიმართულებებს. ასეთი საუბრები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და აუცილებელია პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ იშვიათად იმართება. ვფიქრობ, რომ ასეთი საუბრების ფასილიტაცია სოციალური კაპიტალის უმნიშვნელოვანესი კონტრიბუციაა აკადემიური სწავლის პროცესში და პოლიტიკასთან მიმართებაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ამ საუბრების წაყვანა ვრცელი და კონტექსტუალურად სპეციფიკური დეტალებით, მოითხოვს ტერმინებისა და თეორიების გამოყენებას, რომლებიც ზუსტად ესადაგება დასახულ ამოცანას.

1980-იანი წლების შუა ხანებიდან „სოციალური კაპიტალიც“ და „სამოქალაქო საზოგადოებაც“ სოციალური მეცნიერების მენისტრიმული ტერმინოლოგიის საზღვრებს გასცდა. ქოულმანის (1988) პუბლიკაციასა და პატნემის (1993) ცნობილ ნაშრომზე დაყრდნობით, სოციალური კაპიტალი, ავად თუ კარგად სოციოლოგიის ერთ-ერთი მაღალი პროფილის მქონე „ექსპორტად“ იქცა (Portes 2000). საჯარო პოლიტიკასა და პოპულარული დებატებისას³ მისი ციტირებების რიცხვი ისეთივეა, როგორც სხვა ყოველდღიური ტერმინებისა, მაგალითად „პოლიტიკური პარტიებისა“ (იხ. Woolcock 2010). შედარებისთვის, ბოლო 20 წლის განმავლობაში, სოციალური კაპიტალის გამოყენება აკადემიურ დისკურსში 1980-იანი წლების შუა ხანებიდან 2000-იანი წლების შუა ხანებამდე ასჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა თანმდევი ტერმინის, „ადამიანური კაპიტალისა“ – მხოლოდ 20-ჯერ, ისევე, როგორც „სამოქალაქო საზოგადოებისა“. იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე ასეთ ტერმინზე, მაგალითად, „გლობალიზაციაზე.“

სოციალურმა კაპიტალმა ბევრი გააკეთა აკადემიური და პოლიტიკური მუშაობისას საკუთარი სტატუსის, „არსებითად საკამათო კონცეფციის“ საშუალებით (Gallie 1956)⁴. მისი თანამიმდევრულობა და სარგებელი დამოკიდებულია არა მხოლოდ მის დეფინიციასა და გაზომვის შესახებ კონსენსუსზე, არამედ როგორც კულტურა, ძალაუფლება და დამკვიდრებულ კანონები, მის შესაძლებლობაზე, მიმართოს ყურადღება სოციალური და პოლიტიკური სივრცის თავისებურებებზე, რომლებიც თავისთავად ღირებულია ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში (როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა და დანაშაულის პრევენცია). ფაქტია, რომ ტერმინ „სოციალურ კაპიტალს“ ყველანი იყენებდნენ, დაწყებული მარქსისტებისგან, დამთავრებული რაციონალური არჩევნის თეორეტიკოსებით, ქსელური კავშირების მკვლევრებით და სტრუქტურული ფუნქციონალისტებით, რომლებიც თანხმდებოდნენ, რომ შეუძლებელია არსებობდეს მისი უნივერსალურად შეთანხმებული განსაზღვრება. მოსალოდნელია და ნახალისებულია კიდევ ამ საკითხზე ჯანსაღი კამათი, მაგრამ სოციალური კაპიტალის ბედისწერაა, იყოს ისეთივე სადავო, როგორც ის ფართო თეორიული და ეპისტემოლოგიური დებატები, რომლის ნაწილიც თავადაა.

პირდაპირ თუ ვიტყვით, ადამიანებს სულაც არ სჭირდებათ სოციალური კაპიტალის კონცეფცია სოციალურ ნორმებისა და ქსელების მნიშვნელობაზე სასაუბროდ მათივე მზარდი პოპულარობიდან გამომდინარე, მაგრამ ასეთი საუბრების წარსამართად საჯარო სივრცეში, ამდენ სხვადასხვა სექტორსა და ქვეყანაში, საჭიროა რაღაც უფრო ყოვლისმომცველი და ადვილად გასაკონტროლებელი რამ, ვიდ-

რე ფორმალური აკადემიური ტერმინები გვთავაზობს. ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა მსოფლიო ბანკი, მხოლოდ 1995 წელს დაარსდა სოციალური განვითარების პრობლემების დეპარტამენტი, სოციალური კაპიტალის საკითხის დროულად წინ წამოწევა ხელსაყრელ დისკურსულ ხიდს გვთავაზობს ეკონომიკას (ბანკის წამყვანი დისციპლინა) და სხვა სოციალურ მეცნიერებებს შორის (Bebington et al. 2006). მისი პროექტების ახალი პორტფოლიო გამოკვეთს სამოქალაქო ჩართულობას, სოციალური კაპიტალის გამოყენებას და „მშენებლობას“. პორტფოლიომ შემოგვთავაზა აუცილებელი (ჯერ კიდევ განუვითარებელი და არასრულყოფილი) დისკურსული მსჯელობა იმის შესახებ, რომ მსოფლიო ბანკის ვიცე პრეზიდენტებსა და პროექტების მენეჯერებს სჭირდებოდათ განესხვავებინათ მათი საპროექტო განაცხადები იმ ტრადიციული ინიციატივებისგან, რომლებიც ფოკუსირებული იყო „ადამიანური კაპიტალის“ (სკოლები და საავადმყოფოები) და „ფიზიკური კაპიტალის“ (გზები, ხიდები, სარწყავი არხების სისტემები) მშენებლობაზე. ამას გარდა, ისინი სწორად შენიშნავენ, რომ საგანმანათლებლო და აგრომეურნეობის პროექტების ეფექტიანობას მცირე ზეგავლენა არ ჰქონია ადგილობრივ სოციალურ კონტექსტზე. თემის ნორმები და სამოქალაქო საზოგადოების ქსელები მთავარ როლს თამაშობს, ფერმერები ითვისებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, მაგალითად, იყენებენ ახალ სასუქებს (Isham 2002). იმისგან დამოუკიდებლად, რომ ასეთი პროექტები მუშაობდა და შეიძლებოდა დემონსტრაციულად უკეთესი ყოფილიყო მათ ალტერნატივებზე, ისინი თავიდან უნდა ყოფილიყო აღნიშნული, გამართლებული და ნახალისებული, ხოლო ოლქებში მათი მხარდაჭერა – მობილიზებული. ამ ამოცანებს სოციალური კაპიტალის ენა ასრულებდა.

ზოგიერთ კრიტიკოსს ნებისმიერი ასეთი ძალისხმევა სოციალური თეორიის და სოციალური სივრცეების ღალატად და ეკონომიკური ლოგიკის მამოძრავებელი ყოვლისმომცველი ძალების წინაშე ნაივურ კაპიტულაციად მიაჩნდა, რომელიც თავის მხრივ, წალეკს და დათრგუნავს ყველაფერს, ცხადად „სოციალურს“ (Fine 2001, Somers 2008). მაგრამ სოციალური თეორია არც ასეთი მყიდვია, ეკონომიკური თეორია კი – არც ასეთი ძლიერი და საჭიროა ურთიერთგაცვლა გონივრული გადანყვეტილებების მისაღებად ცხოვრების ყველა სფეროში; განსაკუთრებით იქ, სადაც დებატების თემატიკა არსებითად სადავოა⁵. კონცეფციები პოლიტიკურად გამოსადეგი რომ გახდეს, არ არის აუცილებელი წმინდად აკადემიურ სტანდარტებს ესადაგებოდეს. საჭიროა პროდუქტიული დებატებს წარმოება ამომრჩეველთა ჯგუფებს შორის, დებატებისა, რომლებიც უნდა მოიცავდეს ამ ცნებების შემზღველობაზე მსჯელობასაც. და რადგანაც ტერმინოლოგიის შემუშავება პოლიტიკის ცვლილებისთვის აშკარად არასაკმარისი ბერკეტია, საჭიროა (რასაც ადასტურებს ეროვნული არჩევნებისა და მარკეტინგის კამპანიის ყოველი კამპანია), კონკრეტული ცნებები ჩასწორდეს და იცვლებოდეს სხვადასხვა ვითარებასა და სხვადასხვა აუდიტორიისთვის.

ამ მიზნით მომდევნო მონაკვეთებში განვიხილავ სოციალური კაპიტალის კვლევისა და დებატების ზოგიერთ ძირითად მიგნებას კოლექტიური ქმედების, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული მმართველობის კონკრეტულ დარგებში, მაგრამ უფრო მეტ ყურადღებას ვანიჭებ მათ წვდომას აკადემიის და საჯარო დებატების დანარჩენი დარგებისადმი, ვიდრე მათ ვიწრო ტექნიკურ საზომებს. ნათელია, რომ სოციალური კაპიტალის პოზიტიური გავლენა დიდწილად იძენს საჯარო დისკურსის სიკეთის სტატუსს, იგი გვანვდის ჩარჩოს, რომლის ირგვლივაც შეთანხმებები და უთანხმოებები შეიძლება ხელახლა აღვიქვათ და დავხვეწოთ დისციპლინარული მიმართულებების და პროფესიონალური საზღვრების მიღმა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისთვის და იმ საკითხებისთვის, რის ირგვლივაც უნდა მობილიზდნენ. ბევრი საკითხის გადანყვეტა, რომლისკენაც შეგვიძლია მივმართოთ სოციალური კაპიტალის ენა, მაგალითად, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა, მოითხოვს პოლიტიკურ, არა ტექნიკურ პასუხებს – სწორედ ისეთ დებატებს, რომლებიც აუცილებელი იყო (და რჩება) კანონიერი და მხარდაჭერისკენ მიმართული გადანყვეტილებების მისაღებად.

2. გამოყენება სამოქალაქო საზოგადოების კვლევისა და პრაქტიკაში

მეცნიერების სხვადასხვა დარგების და სოციალური მეცნიერების კვლევათა სპექტრმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობები ადამიანების ქცევის ჩამოყალიბებისა და გაგებისთვის (იხ. Woolcock and Radin 2008). როგორც პოლიტიკის თეორეტიკოსები – არისტოტელე, დევიდ ჰიუმი, ალექს დე ტოკვილი გვახსენებდნენ დიდი ხნის წინ და პატნემიც (1993, 2000) თავისი ანალიზის მთავარ ნაწილად თვლიდა, სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობის ბუნება და ხარისხი არა მარტო ინდივიდისა და ჯგუფის კეთილდღეობისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ გაცილებით ფართო სოციალური შედეგები აქვს. ასეთი შედეგების გამოვლენა სოციალური კაპიტალის ლიტერატურის ეპიცენტრია.

ა. კოლექტიური ქმედება

პატნემის ნაშრომის (1993) მთავარი მტკიცებულებაა ის, რომ სოციალურმა კაპიტალმა შემოიტანა ფართოდ გავრცელებული პრობლემების კოლექტიური ქმედების მეშვეობით გადაჭრის მექანიზმი, კერძოდ, როცა ინდივიდები რაციონალურად მისდევენ იმას, რაც საუკეთესოა მათთვის და რასაც არც ისე კარგ შედეგებამდე მივყავართ საჯარო სივრცისთვის. კანონიკური შემთხვევაა ბუნებრივი რესურსების მართვა (მაგალითად, წყალი, ტყე) სადაც იმას, რაც რაციონალურად უღერს კერძო მომხარებლისთვის (ანუ „რაც შეიძლება ბევრი“) საზიანო შედეგები მოაქვს გარემოსთვის (რესურსების შემცირება და არაადეკვატური შენარჩუნება). ამ თემაზე ყველაზე ცნობილი ნაშრომი ოსტრომს (1991) ეკუთვნის, რომელიც თავდაპირველად არ იყენებდა ტერმინს „სოციალური კაპიტალი“ მაგრამ შემდგომ ენთუზიაზმით აიტაცა ის (Ostrom 2000). შეიძლება, დაბეჭითებით ვთქვათ, რომ ოსტრომის ნაშრომის შედეგად ამ თავში წარმოდგენილმა ერთ-ერთ მთავარ საკითხმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა. თავისთავად, სოციალური კაპიტალისთვის არ იყო აუცილებელი ელიარებინა გავრცელებული ემპირიული და პოლიტიკური პრობლემები, არამედ პრობლემების სოციალური კაპიტალის პირობებში ჩამოყალიბება შესაძლებლობას იძლეოდა, ისინი ფართო აუდიტორიის კონტროლის დაქვემდებარებულად. კოლექტიური ქმედების პრობლემების კვლევა, აქცენტით გარემოზე (Pretty and Ward 2001), თემის მმართველობაზე (Bowles and Gintis 2002) და კლიმატის ცვლილებაზე (Adger 2003) – მომგებიანად იყენებდა სოციალური კაპიტალის ტერმინოლოგიას ამ მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი ყურადღების მისაპყრობად.

ბ. ეკონომიკური განვითარება

კვლევამ სოციალური კაპიტალის შესახებ (კონკრეტულად) და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ (უფრო ზოგადად) გამოაცოცხლა კვლევა ეკონომიკური განვითარების სოციალურ განზომილების შესახებ მიკრო დონეზე⁶, ფაფჩემპის (2006), ბარის (2003), ასევე, სხვა ეკონომისტების (იხ. Durlauf and Fafchamps 2005) შრომები დიდწილად აფართოებს ჩვენს თვალთახედვას იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ღარიბები სხვადასხვა ტიპის ქსელურ კავშირებს: მცისიერი ნათესაური სისტემები სტრუქტურირებულია რისკის შესამცირებლად და იდენტობის შესანარჩუნებლად, ხოლო უფრო ფართო, მრავალფეროვან კავშირებს ეკონომიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად მიმართავენ. ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკური მეცნიერების ნაშრომებმა, მაგალითად, კრიშნამ (2002, 2006), აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთობები ქსელებს და არსებულ ლოკალურ კონტექსტს შორის იმის განსასაზღვრად, თუ ვინ დააღწევს თავს (ან ვერ დააღწევს) სიღარიბეს და მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა შედეგს ვიღებთ. ისინი ჰგავს იმ სიუჟეტურ ხაზებს, რომელებიც საერთაშორისო მიგრაციის სოციოლოგებმა, მესიმ და ესპინოზამ (1997), შეიმუშავეს. ასევე, ამ ტიპის აკადემიური ნაშრომების დაკვირვებით ნაკითხვა აჩვენებს უფრო პრაგმატულ, ვიდრე იდეოლოგიურ ერთგულებას სოციალური კაპიტალის ტერმინოლოგიის მიმართ: მეცნიერები იყენებენ

ცნებებს საჭიროებისამებრ და აუდიტორიის მიხედვით. უნდა გავიმეოროთ, რომ კვლევები სხვადასხვა დისციპლინებიდან ხვდება და კონსტრუქციულად ურთიერთქმედებს იმიტომ, რომ სოციალური კაპიტალის ენა შესაძლებელს ხდის ამ საუბარს. მის გარეშე ისინი პარალელურ სამყაროებში დარჩებოდნენ და არ გადაიკვეთებოდნენ.

გ. დემოკრატია და მმართველობა

პატნემის წიგნის „ამუშავეთ დემოკრატია“ ყველაზე გაბედული მოსაზრება, შეიძლება, იყო ის, რომ სოციალური კაპიტალი, როცა მას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მტკიცე და ურთიერთგადამფარავი ქსელები ზომავს, ეხმარება არა მხოლოდ კოლექტიური ქმედებას და ეკონომიკურ განვითარებას, არამედ საბოლოოდ ის მექანიზმია, რითიც ერთმანეთს უკავშირდება კეთილდღეობაზე დაფუძნებული კოლექტიური ქმედება და კონსტრუქციასა და შენარჩუნებაზე დამყარებული ეფექტური ადგილობრივი სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუციები, რომლებიც დემოკრატიას ამუშავებს.

ამ საკითხის შესახებ შემდგომი ნაშრომი, მიყვება ფუკიამას (1995), და ცდილობს მოიპოვოს ნდობა მთავარი ელემენტების მიმართ. თუმცა, პატნემის შრომებში ვხედავთ იმდენად არა წმინდა ემპირიული ბმისკენ მოწოდებას, რომელიც სოციუმს ეფექტურ მთავრობასთან და ნაციონალურ სიმდიდრესთან აკავშირებს, არამედ უფრო მეტად საკითხის გადახედვას იმის შესახებ, თუ საზოგადოებრივ საქმეებში ყოველდღიური მონაწილეობის ტონი, დონე და პირობები რა გავლენას ახდენს ადგილობრივ პოლიტიკაზე. შემდეგ კი გადმოცემულია მნიშვნელოვანი შესაძლებლობები თეორიის, მტკიცებულებების და პოლიტიკის დონეზე. და მაინც, ვიღაცას წარმატების მისაღწევად შეიძლება არც სჭირდებოდეს სოციალური კაპიტალის სპეციფიკური ტერმინოლოგია, სპეციალიზებული აუდიტორიისთვის ეს შეიძლება დამახინჯელი იყოს, მაგრამ იმის მიუხედავად, მრავალფეროვანია აუდიტორია თუ არა, სოციალური და პოლიტიკური თეორია შეიძლება რთულად აღსაქმელი იყოს. თუმცა, ისეთ ცნებას, როგორცაა სოციალური კაპიტალი, ამ განსხვავებების შემცირება შეუძლია.

ადგილობრივი მთავრობის რეფორმის კვლევა ინდონეზიაში, ალბათ, ამ სამუშაო პროცესის საუკეთესო მაგალითია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარი პროექტი სოციალური კაპიტალის თეორიის საფუძველზე შეიქმნა, რაც შემდეგ რეფორმების ხელშესაწყობად გამოიყენეს. (Guggenheim 2006). სუჰარტოს პერიოდის მომდევნო ეროვნულმა მთავრობებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს მნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რეაგირებისა და ეფექტურობის ამაღლებას და განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ღარიბი თემების მომსახურებას. ამ ინიციატივის ეფექტურობა კარგად იქნა შესწავლილი, ემპირიულად და კრიტიკულად, ყველანაირი რწმენის სოციალური მეცნიერების მიერ (Li 2007; Olken 2007; Rao 2008; Barron, Diprose, and Woolcock 2010). ეს კვლევები რამდენიმე დიდ მოთხოვნას უყენებს ამგვარი ინიციატივებს, ერთპიროვნულად და ერთგვაროვნად შეცვალოს ადგილობრივი პოლიტიკა და შეამციროს სიღარიბე, მაგრამ მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ სოციალური კაპიტალი აქ გამოყენებული იყო, როგორც მექანიზმი სამოქალაქო მონაწილეობისთვის, – ამ შემთხვევაში თუ როგორ შეეძლოთ მარგინალიზებულ ჯგუფებს, სოფლის დონეზე გადანყვეტილების მიმღებ პირებს, განესაზღვრათ და მიეღოთ განვითარებისთვის სახსრების გადანაწილების შესახებ გადანყვეტილებები. კონკრეტულად, იმედოვნებდნენ, რომ ფონდებს სოფლებში მცხოვრებთა ყოველდღიურობის ცოდნაზე დაფუძნებით გადაანაწილებდნენ (გარე „ექსპერტების“ გარეშე) და გადანყვეტილების მისაღებად ითხოვდნენ შეხვედრებს, რომლებიც იქნებოდა ა) საჯარო და ღია ჟურნალისტებისთვის ბ) ჯგუფიდან სულ მცირე ერთი საპროექტო განაცხადი უნდა მიეღოთ ქალებისგან. გადანყვეტილების მიღებისა და გაძლიერების დინამიკა განსხვავდებოდა ავტოკრატიული სუჰარტოს ეპოქაში მიღებული თავსმოხვეული გადანყვეტილებებისგან⁷.

3. შედეგები პოლიტიკა და პრაქტიკისთვის

სოციალური კაპიტალის თეორიისა და კვლევის შესახებ წინამდებარე დისკუსია შვიდ საკითხს მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განსაკუთრებულობის შესახებ. ზოგიერთი ცხადი მაგალითი ეხება ეკონომიკურ განვითარებას, თუმცა ზოგადი მიზნებითაც შეიძლება გამოვიყენოთ. პირველი – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გვეხმარება სიღარიბეზე რეაგირების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი თვალსაზრისების კონტრიბუციაში. ყოველდღიურ რისკებსა და არაადეკვატურ ინსტიტუციურ მექანიზმებს ღარიბები უმკლავდებიან მეგობრებისა და მხარდამჭერი სოციალურ კავშირების საშუალებით, რომლებიც ეხმარებიან მათ გადარჩენასა და განვითარებაში. მემნახველი კლუბები, საკრედიტო ჯგუფები, არაფორმალური დაზღვევის სისტემები აქტიურად იქმნება სრულიად განსხვავებული ქვეყნების ბევრ ღარიბ თემში. ამით განთქმულია ჩინური ღიასპორის თემები მთელ მსოფლიოში, ისინი აქტიურად ეხმარებიან ახალ იმიგრანტებს, რათა ეკონომიკური კიბის პირველ საფეხურზე ასვლა შეძლონ და მხარს უჭერენ მათ სამეწარმეო აქტივობებს (Weidenbaum and Hughes 1996). საჯარო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, გადაწყვიტოს, თუ როგორ და რა გზებით შეუძლია გარეშე აგენტებს შეავსონ არაფორმალური („ორგანული“) სოციალური მექანიზმები ღარიბ თემების ეფექტურობის გასაზრდელად თუ რისკის და მონყვლადობის დასარეგულირებლად, იმ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციების მოშლის გარეშე, რასაც თავად ჯგუფები უზრუნველყოფენ საკუთარი წევრებისთვის.

თემის დონეზე ფოკუსირება, შესაძლოა, უგულვებელყოფილი იყო წარსულში, მაგრამ ძლიერი სოციალური კავშირებით მაინც ხერხდებოდა გადარჩენის და მობილიზების სტრატეგიების ფორმირება ღარიბ თემებში. მტკიცებულებები აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გვესმოდეს სოციალური ურთიერთობების ხასიათი და მასშტაბი ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუციებში, განსაკუთრებით – ძალაუფლებრივი განსხვავებები, მაგალითად, პოლიციასა და მოქალაქეებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ექიმებსა და პაციენტებს, ფერმერებსა და აგრო-სესხების ოფიცრებს, ადვოკატებსა და კლიენტებს, ბანკირებსა და კრედიტორებს შორის. ეს ურთიერთობები გადამწყვეტია ყველა მათგანის კეთილდღეობისთვის, მაგრამ განსაკუთრებით – ღარიბებისთვის. ამიტომაც, ღარიბების ორგანიზაციების ჩართვა მოლაპარაკებებში (ღია კონფრონტაციებისას) კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი პოლიტიკურად გაძლიერებისთვის იმათ პირისპირ, ვისაც გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს (Gibson and Woolcock 2008).

მეორე – სოციალური კაპიტალის თეორიასა და კვლევის მასალებს შეუძლია დახმარება გავგინიონ სერვისის მიწოდების ხარისხის ამაღლების საქმეშიც. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ფინანსები ყველა სკოლის და კლინიკის ასაშენებლად გვეყოფა; ამ იდეის განხორციელება ჯერ კიდევ შორეულ ოცნებად მოჩანს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მილიონობით ბავშვი სკოლაში მიდის და საკლასო ოთახი ცარიელი ხვდება, რადგან მასწავლებელმა ვერ შეძლო სამუშაოზე გამოცხადება (World Bank 2003). იმპლემენტაციის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მასწავლებლებს, მშობლებს და თემებს შორის სოციალური კავშირები არაადეკვატურია, საჭიროა ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის წარმართვას. ცხადია, გვადეღვებს განათლების შინაარსი (ანუ კურიკულუმი), მაგრამ უფრო ფუნდამენტური პრობლემაა სწავლების და სწავლის საკითხი მიმდინარე სოციალურ პროცესში, კერძოდ, პედაგოგსა და მოსწავლეს შორის პირდაპირი ურთიერთობა, რაც დღეში 6 საათი, წელიწადში 200 დღე და 10 წელზე მეტხანს გრძელდება. ასეთივე ღონისძიებების გატარებაა საჭირო სამედიცინო, იურიდიული და სხვა სოციალური სერვისების უზრუნველსაყოფად (Pritchett and Woolcock 2004).

მესამე – სოციალური კაპიტალის პერსპექტივა შეიძლება ინსტრუმენტად გამოდგეს განვითარების რთული და კომპლექსური პრობლემების დასაძლევად, კერძოდ, იმ საკითხებისა, რასაც მოლაპარაკება სჭირდება და არა – ტექნიკური უზრუნველყოფა. ექსპერტები განვითარების ზოგიერთი კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად გვჭირდება (მაგ. კარგი საგზაო ინფრასტრუქტურის დაგეგმარება იქ, სადაც დიდი რაოდენობით ნალექის მოდის), მაგრამ არის კიდევ ბევრი სხვა საკითხი, რომლებიც პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის რეფორმებს გულისხმობს, ისინი ღრმად კონტექსტუალურია და მათი ეფექტურობა მოითხოვს ლეგიტიმაციას, რაც მხოლოდ პოლიტიკური კონკურენციის საშუალებით მოიპოვება. სოციალური კაპიტალის პერსპექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამოქალაქო სივრცეების გამოცოცხლებას, რომელიც ასეთ შეჯიბრებებს მხარს დაუჭერს და შეინარჩუნებს (Briggs 2008). ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინდონეზია, ვიეტნამი და ჩინეთი, სადაც საზოგადოებები თანდათან უფრო ღია ხდება, მათი სამოქალაქო სივრცეების ხარისხი, ხელმისაწვდომობა, აგრეთვე თანასწორობა, რაც დამახასიათებელია იმ კონტექსტში არსებული კონკურენციისთვის, განმსაზღვრელი იქნება პრობლემების ეფექტური იდენტიფიკაციისა და მოგვარებისთვის. ამ სფეროებში უფრო მეტი უცხოელი ან ადგილობრივი ექსპერტის მონაწილეობა არ მოიტანს „სწორ“ პასუხს (თუნდაც ეს შეძლონ, პასუხი ხარისხობრივად მაინც განსხვავებულია, როცა იგივე ვერდიქტი მიიღწევა სათათბირო, დელიბერატიული პროცესის შედეგად).

მეოთხე – პოლიტიკური მოძრაობების გახსნა და კომპლექსური გადაწყვეტილებები დიდი ალბათობით მოითხოვს მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას. სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა მთავარი იქნება ცვლილებების მოსახდენად, რადგან ქვეყნები (მით უმეტეს დიდი ქვეყნები, სადაც სწრაფი ზრდა ფიქსირდება, მაგ. ჩინეთი, ინდოეთი) უფრო და უფრო მეტ წარმატებას აღწევს. კონკრეტულად, ეს იქნება სივრცე, სადაც თავიდან ხდება ანგარიშვალდებულების მექანიზმების გადააზრება, რის შედეგადაც პატრონაჟის პრინციპი, რომელიც ყოველთვის ზემოდან ქვემოთაა მიმართული, თითქმის უგამონაკლისოდ შეიცვლება პროტო-დემოკრატიული პრინციპით. წერა-კითხვის გავრცელება, მაგალითად, ნიშნავს, რომ მოქალაქეებს უკეთესი პოზიცია ექნებათ და სწორად დააყენებენ საკუთარ მოთხოვნებს და მისწრაფებებს (მედიასთან წვდომით და არგუმენტების მონაცემებით გამყარებით), მმართველები კი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდებიან და უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაუჩნდებათ. იდენტობისა და მოქალაქეობის (მაგალითად, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების საბუთები) საბაზისო მარკერების საკითხიც გააძლიერებს ამ ზეწოლას (Szreter 2007). მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს შორის სოციალურ შეთანხმებას სჭირდება ცვლილება დაშინებიდან, უნდობლობიდან და უგულვებელყოფიდან გაცილებით ღია ურთიერთთანამშრომლობამდე.

მეხუთე – ყველაფერი, რაც ცნობილია სოციალური და პოლიტიკური თეორიებიდან, მიუთითებს, რომ ორგანიზაციული ცვლილება, მით უმეტეს სწრაფი, კონფლიქტთან ასოცირდება (Bates 2000). ეს უკვე ხდება ჩინეთში (Muldavin 2006), ზეწოლა, სავარაუდოდ, მოიმატებს ჩინეთის სწრაფ ზრდასთან ერთად. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ რომ ეს კონფლიქტები წარმატებული განვითარების პროდუქტია და არა – წარუმატებლის. ურბანიზაცია, მიგრაცია, წერა-კითხვის ზრდა და პროფესიონალური კატეგორიების ცვლილება, სოციალური სტატუსი და პოლიტიკური გავლენა ყველა იმ ფაქტორს წარმოადგენს, რაც შეცვლის გაბატონებულ ძალაუფლების სტრუქტურას, ნორმატიულ მოლოდინებს, სოციალურ იდენტობებს და წესების სისტემებს როგორც ოჯახის, ასევე, საზოგადოების და მთლიანად, ერის დონეზე. ახალი სამოქალაქო სივრცეების შექმნას ამ კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაგვარებლად, მანამ, სანამ ძალადობრივ სახეს მიიღებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ზრდის შენარჩუნებისთვის, არამედ ახალი და უფრო დინამიკური სოციალური შეთანხმებისთვის, სადაც მზარდი ზრდა შენარჩუნდება. აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ ათწლეულში, ინდონეზიის სამმაგი ტრანზიციის – ავტოკრატიიდან დემოკრატიამდე, კორპორაციულიდან ღია ეკონომიკამდე და ცენტრალიზებულიდან დეცენტრალიზებულ პოლიტიკურ მართვამდე, მართლაც

აღსანიშნავია და არა მხოლოდ შედარებით მცირე ძალადობრივი კონფლიქტის გამო. მართებულია მსჯელობა იმის თაობაზეც, რომ ეს განვითარების პოლიტიკის შედეგია, რომელიც ინდონეზიის სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარეობდა (Guggenheim 2006; Barron, Diprose, and Woolcock 2010).

მეექვსე – კეთილდღეობის, მობილურობის, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება ქვეყნებს უფრო მეტად მრავალფეროვანს გახდის უახლოეს ათწლეულებში. მართალია, ეს ყველა ქვეყნას არ ეხება, მაგრამ სწრაფად მზარდ (ამიტომაც ცვალებად) ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, ვიეტნამი და ჩინეთი, ნამდვილად ასეა. იმის გარდა, რომ იდენტობის მრავალფეროვანი წყაროები არსებობს, (რეალურად და პოტენციურად) დემოგრაფიული პერსპექტივიდან (სამსახური, ენა და ადგილი), მოსახლეობა იზრდება და ურთიერთობს, ასევე, მოსალოდნელია: ა) ამ ყველაფრის გაცნობიერება უფრო მეტად; ბ) უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობის მინიჭება; გ) ინდივიდების (და ჯგუფების) მიმართ გაჩნდება მეტი მოთხოვნა, მართონ იდენტობის ფორმები და წყაროები ახლა და მომავალში. გარდა ამისა, სოციალურ (ამიტომაც პოლიტიკურ) შეცდომებს, რომლებიც ჯერ უცნობია, აუცილებლად დაუშვებენ მომავალში, რადგან უთანასწორობის დონე იზრდება და ეკონომიკური (და პოლიტიკური) შესაძლებლობები მხოლოდ ზოგისთვის ფართოვდება.

მეშვიდე – დინამიკური, რეალურად ინკლუზიური სოციალური ერთობის ყველა ფაქტორს აუცილებლად სჭირდება გადააზრება და შენარჩუნება (Easterly, Ritzen, and Woolcock 2006). გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველ საზოგადოებასა და ამომრჩეველთა თემში ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ სად და როგორ იყოფა „ჩვენ“ და „ისინი“; არ შეიძლება არსებობდეს ერთადერთი შეუცვლელი დეფინიცია, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ პრინციპის მოქნილი, ლეგიტიმური, ფართოდ გაზიარებული და მწყობრი გაგება. ეს აუცილებელია მსოფლიოს დიდი და სწრაფად მზარდი (ამიტომაც, უსწრაფესად ცვალებადი) ქვეყნებისთვის. ისინი ეძებენ გზებს, თუ როგორ მოახდინონ ტრანზიციის ავტოკრატიული რეჟიმიდან დემოკრატიულ მმართველობამდე და თან მდგრადობა შეინარჩუნონ. ამ სივრცეების გამოყოფა, რესურსების მიწოდება, ქვეყნის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის თანასწორი შეჯიბრი უმნიშვნელოვანესია. ეს შეჯიბრი, შეიძლება ყოველთვის არ იყოს ჰარმონიული, მაგრამ იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ აღვიქვათ, როგორც სამართლიანი და კანონიერი.

4. დასკვნა

სოციალური კაპიტალი, მის ირგვლივ არსებული მეცნიერული აზრისთვის არაორაზროვნად რჩება სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთ წარმატებულ ექსპორტად და ასეც უნდა იყოს აღიარებული, თუმცა, ეს თავდაპირველი წარმატება რომ გამტკიცდეს, დღემდე გამოწვევად რჩება იმ ინსტრუმენტებისა და კონცეფციების გამოყენება, რაც უკეთ შეესაბამება ნიუანსებით სავსე და საინტერესო საუბრის შესაძლებლობას იმ სპეციფიკური საკითხების ირგვლივ, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს. ყოველთვის გამოჩნდება ადგილი ტერმინისთვის, რომელიც მიიტანს სოციალური მეცნიერების არსს ფართო აუდიტორიებამდე, მაგრამ ამ ტერმინისგან (რაც არ უნდა იყოს) არ უნდა ველოდოთ იმ ტვირთის ტარებას, რასაც ვერ ასწევს. სოციალური კაპიტალის ბედისწერაა, საკამათოდ დარჩეს თეორიულ, ემპირიულ და ეპისტემოლოგიურ დებატებში და ჰქონდეს აუცილებელი, მაგრამ სადავო კონცეფციის მაცდუნებელი სტატუსი. იმ ძირითად საკითხებზე, რაზეც სოციალური კაპიტალის ლიტერატურა ამახვილებს ყურადღებას, და დისკუსიებზე, რომლებიც მას თან სდევს, – უნდა მივმართოთ ჩვენი ენერჯია მომდევნო წლებში და ამავე დროს, წავახალისოთ იმ საპასუხისმგებლო ტერმინების

(მათ შორის სოციალური კაპიტალის) მონაწილეობა, რათა სპეციალისტთა წრეებმა, რომელთაც შესაბამისი მიზნები აქვთ, გამოიყენონ უფრო ზუსტი ტერმინები, თეორიები, ინსტრუმენტები და მიზანზე ორიენტირებული მტკიცებულებები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სოციალური კაპიტალის მთავარი ბენეფიციარია. იგი წარმოგვიდგება, როგორც არჩევნის ტერმინოლოგია მრავალფეროვანი ჯგუფების დიალოგისა და დებატებისთვის. საჯარო ფორუმებში, კორპორაციების სათათბირო კაბინეტებში, მასმედიასა თუ საკლასო ოთახებში სოციალურმა კაპიტალმა შეძლო, ამ ორგანიზაციებს დაეწყოთ მსჯელობა და პრობლემები ზუსტად აღენერათ იმ ინსტრუმენტებით, რაც მანამდე სხვა ტერმინებმა ვერ შეძლო. ამ თავის ძირითადი სათქმელი ისაა, რომ პროგრესი მოსთხოვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გამოიყენონ ორმაგი დისკურსიული დავალება: განაგრძონ წვდომა და ჩართონ ჯგუფების ფართო სპექტრი (დავალება, რასაც სოციალური კაპიტალის ზოგადი ტერმინოლოგია შეესაბამება), და ამავე დროს, შეიტანონ ცვლილებები საკუთარ თეორიულ მოსაზრებებში, მტკიცებულებათა ბაზაში და პოლიტიკის გეგმებში. ეს ის ამოცანაა, რომლისთვისაც უფრო სპეციფიკური კონცეფციები იქნება გამოსადეგი.

შენიშვნები

1. სოციალური კაპიტალის ინტელექტუალურ ისტორიას იკვლევს Portes (1998), Woolcock (1998) და Farr 2004; მისი განვითარება გამოყენებით კვლევაში მეოცე საუკუნის მანძილზე განხილულია ვულქოქთან და ნარაიანთან (Woolcock and Narayan, 2000).
2. მაგალითად სამხრეთ აფრიკელები იყენებენ კონცეფციას უბუნტუ, რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება „მე ვარ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ“.
3. აღსანიშნავია, რომ ასეთი მტკიცებები კეთდებოდა მაშინ, როდესაც სოციალური კაპიტალის ციტირებათა რაოდენობა დღევანდელზე ხუთჯერ მცირე იყო.
4. იხ. Collier, Hidalgo, Mciuceanu (2006) ამ კონცეფციების უფრო ფართო განხილვისთვის.
5. სოციალური კაპიტალის სხვადასხვა კრიტიკის პასუხი განხილულია Woolcock-თან (2001).
6. „მაკრო“ დონეზე კვლევა (ეროვნებათშორისი შედარებები) დაიწყო Knack-მა და Keefer-მა (1997), მაგრამ (როგორც ამ ნაწილშიც ჩანს) მიკრო დონის სამუშაო იყო ყველაზე შედეგიანი ზეგავლენის თვალსაზრისით. იხილეთ ასევე მაკრო-სოციალოგიური ნაშრომი Evans-ისგან (1996).
7. იმავე კატეგორიაში მსგავსი კვლევები მოიცავს მნიშვნელოვან ნაშრომებს თანამონაწილეობით დემოკრატიაზე (Fung and Wright 2003), დეცენტრალიზაციაზე (Heller, Harilal, and Chaudhuri 2007) ადგილობრივ დემოკრატიაზე (Baicchi, Heller, and Silva 2008), ანგარიშვალდებულებაზე (Fox 2007), და გაძლიერებაზე (Alsop, Bertelsen, and Holland 2006).

ბიბლიოგრაფია

- Adger, W. N. 2003. "Social Capital, Collective Action and Adaptation to Climate Change." *Economic Geography* 79(4): 387–404.
- Alexander, J. 2006. *The Civil Sphere*. New York: Oxford University Press.
- Alsop, R., M. Bertelsen, and J. Holland (eds.) 2006. *Empowerment in Practice: From Analysis to Implementation*. Washington, D.C.: The World Bank.
- Barr, A. 2003. "Trust and Expected Trustworthiness: Experimental Evidence from Zimbabwean Villages." *Economic Journal* 113 (July): 614–30.
- Barron, P., R. Diprose, and M. Woolcock. 2011. *Contesting Development: Participatory Projects and Local Conflict Dynamics in Indonesia*. New Haven, Conn.: Yale University Press.
- Bates, R. 2000. *Violence and Prosperity: The Political Economy of Development*. New York: Norton.
- Bebbington, A., S. Guggenheim, E. Olson, and M. Woolcock (eds.). 2006. *The Search for Empowerment: Social Capital as Idea and Practice at the World Bank*. West Hartford, Conn.: Kumarian Press.
- Baiocchi, G., P. Heller, and M. K. Silva. 2008. "Making Space for Civil Society: Institutional Reform and Local Democracy in Brazil." *Social Forces* 86(3): 911–36.
- Bowles, S., and H. Gintis. 2002. "Social Capital and Community Governance." *Economic Journal* 112 (November): 419–36.
- Briggs, X. de S. 2008. *Democracy as Problem Solving: Civic Capacity in Communities across the Globe*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Coleman, J. 1988. "Social Capital in the Creation of Human Capital." *American Journal of Sociology* vol. 94: 95–120.
- Collier, D., F. D. Hidalgo, and A. O. Maciuceanu. 2006. "Essentially Contested Concepts: Debates and Applications." *Journal of Political Ideologies* vol. 11(3): 211–46.
- Durlauf, S., and M. Fafchamps. 2005. "Social Capital," in P. Aghion and S. Durlauf (eds.) *Handbook of Economic Growth* vol. 1, Amsterdam: Elsevier, 1639–700.
- civil society and social capital 207*
- Easterly, W., J. Ritzen, and M. Woolcock. 2006. "Social Cohesion, Institutions, and Growth." *Economics & Politics* vol. 18(2): 103–20.
- Edwards, M. 2009. *Civil Society*. 2nd ed. Cambridge: Polity Press.
- Evans, P. 1996. "Government Action, Social Capital and Development: Reviewing the Evidence on Synergy." *World Development* vol. 24(6): 1119–32.
- Fafchamps, M. 2006. "Development and Social Capital." *Journal of Development Studies* vol. 42(7): 1180–98.
- Farr, J. 2004. "Social Capital: A Conceptual History." *Political Theory* vol. 32(1): 6–33.
- Fine, B. 2001. *Social Capital versus Social Theory: Political Economy and Social Science at the Turn of the Millennium*. London: Routledge.
- Fox, J. 2007. *Accountability Politics: Power and Voice in Rural Mexico*. New York: Oxford University Press.
- Fukuyama, F. 1995. *Trust: The Social Virtues and the Creation of Prosperity*. New York: The Free Press.
- Fung, A., and E. O. Wright. 2003. *Deepening Democracy: Institutional Innovations in Empowered Participatory Governance*. London: Verso.

- Gallie, W. B. 1956. "Essentially Contested Concepts." *Proceedings of the Aristotelian Society* vol. 56: 167–98.
- Gibson, C., and M. Woolcock. 2008. "Empowerment, Deliberative Development and Local Level Politics in Indonesia: Participatory Projects as a Source of Countervailing Power." *Studies in Comparative International Development* vol. 43(2): 151–80.
- Guggenheim, S. E. 2006. "The Kecamatan Development Program, Indonesia," in A. Bebbington, M. Woolcock, S. Guggenheim, and E. Olson (eds.) op.cit.
- Heller, P., K. N. Harilal, and S. Chaudhuri. 2007. "Building Local Democracy: Evaluating the Impact of Decentralization in Kerala, India." *World Development* vol. 35(4): 626–64.
- Isham, J. 2002. "The Effect of Social Capital on Fertiliser Adoption: Evidence from Rural Tanzania." *Journal of African Economies* vol. 11(1): 39–60.
- Knack, S., and P. Keefer. 1997. "Does Social Capital have an Economic Payoff? A CrossCountry Investigation." *Quarterly Journal of Economics* vol. 112(4): 1251–88.
- Krishna, A. 2002. *Active Social Capital: Tracing the Roots of Development and Democracy*. New York: Columbia University Press.
- . 2006. "Pathways Out of and Into Poverty in 36 Villages of Andhra Pradesh, India." *World Development* vol. 34(2): 271–88.
- Li, T. M. 2007. *The Will to Improve: Governmentality, Development, and the Practice of Politics*. Durham, N.C.: Duke University Press.
- Massey, D., and K. Espinosa. 1997. "What's Driving Mexico-U.S. Migration? A Theoretical, Empirical, and Policy Analysis." *American Journal of Sociology* vol. 102(4): 939–99.
- Muldavin, J. 2006. "In Rural China, a Time Bomb is Ticking." *International Herald Tribune*, January 1.
- Olken, B. 2007. "Monitoring Corruption: Evidence from a Field Experiment in Indonesia." *Journal of Political Economy* vol. 115(2): 200–49.
- Ostrom, E. 1991. *Managing the Commons: The Evolution of Institutions for Collective Action*. New York: Cambridge University Press.
- . 2000. "Social Capital: Fad or Fundamental Concept?" in P. Dasgupta and I. Serageldin (eds.) *Social Capital: A Multifaceted Perspective*. Washington, D.C.: The World Bank.
- Pretty, J., and H. Ward. 2001. "Social Capital and the Environment." *World Development* vol. 29(2): 209–27.
- 208 *the norms of civil society*
- Portes, A. 1998. "Social Capital: Its Origins and Applications in Contemporary Sociology." *Annual Review of Sociology* vol. 24: 1–24.
- Portes, A. 2000. "The Two Meanings of Social Capital." *Sociological Forum* vol. 15(1): 1–12.
- Pritchett, L., and M. Woolcock. 2004. "Solutions When the Solution is the Problem: Arraying the Disarray in Development." *World Development* vol. 32(2): 191–212.
- Putnam, R. 1993. *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*. Princeton, N.J.: Princeton University Press.
- . 2000. *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community*. New York: Simon & Schuster.
- Rao, V. 2008. "Symbolic Public Goods and the Coordination of Public Action: A Comparison of Local Development in India and Indonesia," in P. Bardhan and I. Ray (eds.) *The Contested Commons: Conversations Between Economists and Anthropologists*. New York: Wiley-Blackwell, 168–86.
- Seligman, A. 1992. *The Idea of Civil Society*. New York: The Free Press.

- Somers, M. 2008. *Genealogies of Citizenship: Markets, Statelessness and the Right to Have Rights*. New York: Cambridge University Press.
- Szreter, S. 2007. "The Right of Registration: Development, Identity Registration and Social Security—A Historical Perspective." *World Development* vol. 35(1): 67–86.
- Weidenbaum, M., and S. Hughes. 1996. *The Bamboo Network: How Expatriate Chinese Entrepreneurs are Creating a New Economic Superpower in Asia*. New York: The Free Press.
- Woolcock, M. 1998. "Social Capital and Economic Development: Toward a Theoretical Synthesis and Policy Framework." *Theory and Society* vol. 27(2): 158–208.
- . 2001. "The Place of Social Capital in Understanding Social and Economic Outcomes." *Canadian Journal of Policy Research* vol. 2(1): 11–17.
- . 2010. "The Rise and Routinization of Social Capital, 1988–2008." *Annual Review of Political Science* 13: 469–87.
- Woolcock, M., and D. Narayan. 2000. "Social Capital: Implications for Development Theory, Research and Policy," *World Bank Research Observer* vol. 15(2): 225–49.
- Woolcock, M., and E. Radin. 2008. "A Relational Approach to the Theory and Practices of Economic Development," in D. Castiglione, J. van Deth and G. Wolleb (eds.) *Handbook of Social Capital*. New York: Oxford University Press, 411–38.
- World Bank. 2003. *World Development Report 2004 Making Services Work for Poor People*. New York: Oxford University Press.